ᲘᲠᲝᲚᲔᲑᲐᲜᲗᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲘᲡ, ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

სსრ მ. ა. ს. (ბ) ცპხტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი — ორგან ცენტრალნოგო и гбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

საშაბათი
10 ოქტომბერი
1939 წ.
№ 233 (5633)
ფასი 10 კაპ.

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს

პარტიული პროპაგანდის ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის

რესპუბლიკურმა თათბირმა პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ ჩატარდა, მთელი სიმკვეთრით გვიჩვენა ის უდიდესი აღმავლობა, რასაც ადგილი აქვს ჩვენი პარტიის, მთელი ჩვენი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში. საპროპაგანდო მუშაობის უმაგალითო გაჭანებამ, რაც გამოიწვია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სახელმძღვანელოს გამოსვლამ კვლავ ცხადჰყო, რომ ნამდვილად დიადწყო ახალი ხანა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ორგანიზაციაში.

ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო კადრებმა სეროზულად მოჰკიდეს ხელი მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების შესწავლას. ჩვენს თვალწინ გაგანტურად იზრდება ინტერესი და მისწრაფება ბოლშევიზმის ყოვლისმძლე თეორიის დაუფლებისადმი. მილიონებში აღიძრა მისწრაფება და გემოვნება მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების შესწავლისადმი. ნათელი გახდა, რომ ბოლშევიზმის თეორიის დაუფლება შეძენის საქმეა, რომ ჩვენს კადრებს შესწევთ უნარი დამოუკიდებლად, დიალ, დამოუკიდებლად შეისწავლონ მსოფლიოს გარდამქნელი თეორია, დამოუკიდებლად შეისწავლონ მარქსიზმის ფილოსოფია, ის ახალი, რაც ლენინისა და სტალინის გენიამ შეიტანა მარქსიზმის საგანძურში.

მილიონები დაიძრნენ პროპაგანდის კერებისაკენ!

პარტიული განათლების სახლებსა და პარტიულ კაბინეტებში კარგახანია, რაც დაიწყო ახლებური, მიმზიდველი და შინაარსიანი ცხოვრება. საბოლოოდ იდევნება კუსტარულობა და კარჩაკეტილობა. ჩვენი მოწინავე პარტიული კაბინეტები გადაიქცნენ სალექციო და საკონსულტაციო მუშაობის ცენტრებად. პროპაგანდის ლექციური სისტემა დღითიდღე ფართოვდება, თეორიული ლექციები ახლა უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ. მაგრამ ყოველივე ზემოთქმული როდი ნიშნავს იმას, რომ პარტიული პროპაგანდის დარგში ყველაფერი რიგზე იყოს.

რაში მდგომარეობს ამჟამად პარტიული პროპაგანდის უმთავრესი ნაკლი?

„მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დაყენებაში, — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 16 აგვისტოს დადგენილებაში,—მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ პარტიის საოლქო, სარაიონო კომიტეტებმა ვერ მოაწყეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა, ყველა ხელმძღვანელი კადრების, განსაკუთრებით პარტიულ და საბჭოთა კადრების მიერ. რაიკომებისა და პარტბიუროთა მდივნებმა, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკებმა, უარჰყვეს რა ძველი, საკ. კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დაგმობილი ბიუროკრატიული „კონტროლის“ მეთოდები, თვითდინებას მიანდეს კომუნისტების ინდივიდუალური პოლიტიკური თვითგანვითარების საქმე“.

პარტიულ პროპაგანდის დაყენებაში თვითდინების ყოვლად გაუმართლებელმა პრაქტიკამ იჩინა თავი გურჯაანის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, გალის და წითელწყაროს რაიონების ორგანიზაციაში. ჩამოშორდნენ რა პარტიული პროპაგანდისადმი არსებით ხელმძღვანელობას, ზემოაღნიშნული რაიკომების მუშაკებმა არც კი იციან, ვინ მეცადინეობს დამოუკიდებლად. სახელმძღვანელოს ვინ როგორ თავს კითხულობს, ვინ რაში საჭიროებს სა. კონსულტაციო დახმარებას. გამოყენებული არ არის ისეთი შესანიშნავი გამოცდილება, როგორიც არის ამხანაგური საუბრები, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა თათბირები გამოცდილების გაზიარებისათვის და სხვ.

ქუთაისის, ჭიათურის, გორის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არიან ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები, რომლებიც სერიოზულად არ სწესდგომიან „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სახელმძღვანელოს შესწავლას. ბევრი პირველად პარტიული ორგანიზაცია აშკარად გადავარდა მეორე უკიდურესობაში — მთლიანად აიღო ხელი პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობაზე.

განა ცოტაა პარტბიუროს ისეთი მდივანი, რომელმაც არ იცის რომელ მუშაობს პარტიის წევრი თუ კანდიდატი თავის-თავზე? პირველადი პარტორგანიზაციების ასეთი ხელმძღვანელები ე. წ. „ჩაურევლობის“ პოზიციაზე დადგნენ. ისინი ივიწყებენ არა თუ თავის მოვალეობას, არამედ იმასაც, რომ პარტიის წევრი მოვალეა „დაუღალავად მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად“. განა პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად არ უნდა ზრუნავდნენ იმის შემოწმებასა და კონტროლზე, თუ როგორ ასრულებს კომუნისტი საწესდებო მოთხოვნას?

ერთია წერილმანი მეურვეობა და ბიუროკრატიული „კონტროლი“, ხოლო სულ სხვაა ნამდვილი ბოლშევიკური კონტროლი იმაზე, თუ როგორ იზრდება კომუნისტი იდეურად, როგორ ზრუნავს იგი ამაღათვის, როგორ ეხმარება პარტიული ორგანიზაცია კომუნისტს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესწავლაში.

ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს პროპაგანდის ლექციური სისტემის ორგანიზაციის საქმეშიც. ზოგიერთი რაიონული პარტიული ორგანიზაცია გამოედევნა ლექციების დიდი რაოდენობით ჩატარებას. დაივიწყა რა მთავარი მომენტი — ლექციების ხარისხი, რის შედეგადაც ხშირად ლექციები ტარდება დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე. ნაკლები ყურადღება ექცევა ლექციების თემატიკას. უმთავრესად ლექციები იკითხება პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი თავების მიხედვით, ხოლო ოქტომბრის შემდგომი პერიოდი, რომელსაც ჩვენი პარტიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს, შეუსწავლელი რჩება.

ამრიგად, პარტიის ბევრი რაიკომი არ ზრუნავს რა ლექციების თემატიკისათვის, კურსს იღებს არა მოწინავე ამხანაგებზე, არამედ ისეთ ამხანაგებზე, რომლებიც სახელმძღვანელოს პირველ თავებს არ გასცილებიან.

ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ლექციები მოეწყოთ უმთავრესად იმ თემებზე, რომლებსაც უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვთ, იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენს სინამდვილესთან, ახალ ხანასთან, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლასთან. ხშირად ივიწყებენ აგრეთვე აუდიტორიისადმი დიფერენცირებულ მიდგომას. არ ეწყობა პოპულარული ლექციები ნაკლებად მომზადებული ამხანაგებისათვის. ჩოხატაურის, გორის, ხაშურის, მახარაძის და ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციებში თეორიულ კონფერენციებს მოუმზადებლად ატარებენ. ამხანაგებს ავალებენ მოხსენების მომზადებას ორ-სამ დღეში (?!).

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში თავი ჩაჰინა თვითდინებამ, ეს მხედველობიდან გამორჩათ პარტისტორიის წრეებისადმი ხელმძღვანელობაც.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გასული წლის 14 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად უნდა შექმნილიყო წრეები კადრების ძირეული, საშუალო და უმაღლესი რგოლებისათვის. კადრების ძირეული რგოლებისათვის თუმცა შეიქმნა წრეები, მაგრამ ამ წრეებში უგულებელ-მეცადინეობენ. ნაცვლად იმისა, რომ შეისწავლონ პარტიის ისტორიის სამი ძირითადი ეტაპი, აქ მეცადინეობენ პირდაპირ სახელმძღვანელოს მიხედვით. ამრიგად, ძირეული რგოლის წრე არაფრით არ განსხვავდება კადრების საშუალო რგოლის წრისაგან. რაიკომის შტატის პროპაგანდისტები, რომლებიც უშუალოდ უნდა ხელმძღვანელობდნენ წრეებს, ხშირად გამოყენებული არიან არადანიშნულებისამებრ (ხაშური, ოჩამჩირე და სხვ.).

ჩვენი რაიონული პრესა, რომელიც მოწოდებულია თავის ფურცლებზე უჩვენოს საპროპაგანდო მუშაობის საუკეთესო ნიმუშები, მოახდინოს გამოცდილების განზოგადება და მიმართოს ცეცხლი საპროპაგანდო მუშაობაში არსებული თვითდინების წინააღმდეგ, ხშირად თვითდამშვიდებას ეძლევა. რაიონული გაზეთების დიდი უმრავლესობა კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების რეგისტრირებით და ინფორმირებით, ივიწყებს რა უმთავრეს მომენტს—ორგანიზატორულ მხარეს.

რაიონის გაზეთის ამოცანა არ გამოიხატება იმაში, რომ მან თეორიული სტატიები და კონსულტაციები მოათავსოს, მის უმრავლესს ამოცანას წარმოადგენს მიმზიდველად და შინაარსიანად უჩვენოს თავის მკითხველებს, როგორ მუშაობენ მოწინავე ამხანაგები, რა გამოცდილება აქვთ ამ მხრივ, რა დონეზე ტარდება ლექციები, როგორი იყო ჩატარებული ლექციის შინაარსი, დროულად მისცეს სიგნალები არსებული ნაკლოვანებათა შესახებ და სხვ.

მთელი სერიოზულობით ისმება საკითხი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლების შესახებ. მთელი რიგი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში მოუმზადებელი ტარდება, რომ ლექციები არ მიმდინარეობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სახელმძღვანელოს მიხედვით. ჯერ კიდევ ღრმად არ არის შეგნებული, რომ „მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლება უმაღლეს სასწავლებელში აგებულ უნდა იქნას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ღრმად შესწავლის საფუძველზე“. სუსტად მუშაობენ ზოგან მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრები, რომელნიც ჯერ კიდევ არ გადაქცეულან ნამდვილ შემოქმედებით კოლექტივებად.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისათვის, რომელიც წარმოადგენს ჩვენი პარტიის სისხლხორცეულ საქმეს, უცხოა თვითდამშვიდება და თვითდინების პრაქტიკა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივაღწიოთ სრულ ცენტრალიზაციას პარტიული პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობაში, უზრუნველვყოთ პროპაგანდის ბოლშევიკური ორგანიზაცია.

უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება თვითდინების პრაქტიკის განდევნას მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მთელი სისტემიდან. საზოგადოებრივი-პარტიული აზრი უნდა მივმართოთ სწორედ თვითდინების, ბოლშევიზმისათვის ამ უცხო პრაქტიკის წინააღმდეგ, იმ ამხანაგების წინააღმდეგ, რომლებიც არ ასრულებენ საწესდებო მოთხოვნას.

ყველა პარტიულ ორგანიზაციაში უნდა შეექმნათ ისეთი ვითარება, ისეთი ატმოსფერო, რომ თვითეული კომუნისტი, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი იბრძოდეს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების დაუფლებისათვის.

კრასნიპროლეტარელების მოწოდების საპასუხოდ

(სტალინირი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა მოწოდებას —ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 22 წლისთავს.

მთელ ოლქში იმართება მრავალრიცხოვანი მიტინგები და ყველგან ებმებიან წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში.

7 ოქტომბერს სტალინირის სარეწაო არტელ „ტრიკოტაჟში“ ჩატარებულ მიტინგზე მუშა-მოსამსახურეებმა ვალდებულება აიღეს, რომ პირველი დეკემბრისათვის შეასრულებენ წლიურ საწარმოო გეგმას და დამატებით გამოიმუშავებენ ორმოცი ათასი მანეთის მაღალხარისხოვან სამრეწველო საქონელს. სტაბანოველებმა ნინა ჯაპისმედოვმა, ზინა მაშისთვალოვმა, ელენე ნადირაძემ, სონა გვარამაძემ და ერიქნაზ აჯიმანმა აიღეს ვალდებულება გეგმების სისტემატურად 250 პროცენტით შესრულების შესახებ.

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშათა წერილის განხილვისადმი მიძღვნილი მიტინგი ჩატარდა აგრეთვე სტალინირის ხე-ტყის კომბინატში. სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა მჭარხავმა ვანო თათტაევმა განაცხადა, რომ ფართოდ გამოიყენებს სტახანოვური მუშაობის მეთოდებს და IV კვარტალის გეგმას შეასრულებს 160 პროცენტით.

„სოციალისტური რევოლუციის 22 წლისთავს ღირსეულად შევხვდები, —ამბობს მხერხავი იოსებ კვაღინაძე.—ჩემს სახერხ დაზგას თვალის ჩინივით გავუფრთხილდები, დავამზადებ საუკეთესო ხარისხის მასალას და ოქტომბრის გეგმას 200 პროცენტით შევასრულებ“.

თავის რეზოლუციაში ხე-ტყის კომბინატის კოლექტივმა ჩაჰწერა: „სახელოვანი წოდელი არმიის გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავიკრავთ ბრძოლაში კომუნისტური პარტიისა და დიდი **სტალინის** გარშემო. საყვარელ სამშობლოს ახალ საწარმოო გამარჯვებებს მივუძღვნით და ამით კიდევ უფრო განვამტკიცებთ მის ძალასა და ძლიერებას“.

„კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა წერილის განხილვისადმი მიძღვნილი მიტინგები ჩატარდა აგრეთვე სტალინირის სარეწაო არტელ „შრომაში“, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში, აგურის ქარხანაში და სხვ. საწარმოებში.

ჯ. ტრაპაიძე

ებმებიან წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში

(ცხაკაია, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ცხაკაიას რაიონის მშრომელები მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით შეეგებნენ მოსკოვის ლენინის ორდენოსან დაზგათმშენებელ ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის მოწოდებას — ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს.

რაიონის მთელ რიგ წარმოებადწესებულებებში და კოლმეურნეობებში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი კრასნი პროლეტარელების წერილის განხილვისადმი. ცხაკაიას საკარე ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა მიტინგზე სტახანოველმა ამხ. ვ. მოზოლიმა განაცხადა: ყოველდღიური საწარმოო გეგმებს 214 პროცენტით ვასრულებ. ვებმები რა წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში, ვკისრულობ ყოველდღიური საწარმოო დავალება 250 პროცენტით შევასრულო.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე ივ. კლიმენკო, ნ. გალოშუმოვი, ელ. დანელია, ინჟინერი სოფიო მიქაია და სხვები, რომლებმაც აიღეს ვალდებულება მათთვის მიცემული საწარმოო გეგმები გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შეასრულონ.

ქარხნის კოლექტივმა აიღო ვალდებულება წლიური საწარმოო გეგმა 5 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულოს.

ცხაკაიას სარეწაო არტელების მუშაკთა მიტინგზე ამხ. ალ. მელიამ აიღო ვალდებულება ყოველდღიური გეგმა 150 პროცენტით შეასრულოს, ბ. გეგენავამ — 130 პროცენტით. ასეთივე ვალდებულება აიღეს ვ. გოგინავამ, თ. ჯანჯღავამ, მ. გვასალიამ და სხვებმა.

სტახანოველმა ამხ. ზ. ნადირაძემ ნორმა 2.100 პროცენტით შეასრულა

8 ოქტომბერს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარჩინებულმა სტახანოველმა საორთქლმავლო ცილინდრების შემდუღებელმა ამხ. ზ. ნადირაძემ ახალი საწარმოო რეკორდი დაამყარა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავის აღსანიშნავად.

2 საათსა და 50 წუთში ამხ. ნადირაძემ ცილინდრების შედუღების ისეთი სამუშაო შეასრულა, რომელზედაც ნორმით დაწესებულია 59 საათი და 30 წუთი. ამგვარად, მან ნორმა 2.100 პროცენტით შეასრულა და 187 მან. და 26 კაპ. გამოიმუშავა. (საქდესი).

გორი—სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე

(გორი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გორი — სტალინირის რკინიგზის მშენებლობის მუშებში დიდი სწარმოო აღმავლობა გამოიწვია „კრასნიპროლეტარელების“ მოწოდებამ.

მშენებლობის მუშები ვალდებულებას იღებენ ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 22 წლისთავი. მიწის მთხრელთა ბრიგადებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

ბრიგადირმა ქრისტესაშვილმა შეჯიბრებაში გამოიწვია ამხ. პუგაევის ბრიგადა.

— ჩვენი ბრიგადა, — განაცხადა ამხ. ქრისტესაშვილმა, — ვალდებულებას იღებს 25 ოქტომბრისათვის ჩატაროს 1750 კუბური მეტრი გათხრითი სამუშაოები, ნაცვლად ვეგმით გათვალისწინებული 750 მეტრისა. განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას, ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას და გავუფრთხილდებით სამუშაო იარაღებს.

მიწის მთხრელებმა მინდიაშვილმა და ქრისტესაშვილმა ვალდებულება აიღეს ყოველდღიური გეგმა 280 %-ით შეასრულონ.

2-3 ოქტომბერს ილია ქრისტესაშვილის ბრიგადამ მოთხარა 138 კუბური მეტრი მიწა 60-ის ნაცვლად.

ს. ყურაშვილი

ერთსულოვნად ვუერთდებით კრასნიპროლეტარელების მოწოდებას

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა კოლექტივის მოწოდებამ დიდი აღფრთოვანება და შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია თბილისის ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაკთა შორის.

ამ მოწოდების განხილვისადმი მიძღვნილ მიტინგზე ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშებმა, სტახანოველებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ახალი ვალდებულების აღებით უპასუხეს მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მოწოდებას.

კრასნიპროლეტარელების წერილი მიტინგზე შეკრებილთა გაცისკრ ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. მღებრიშვილმა.

ყოველ დღეს ჩვენში, — ლაპარაკობს სარემონტო საამქროს უფროსი, ინჟინერი მგელაძე, — ახალ-ახალი ღირსშესანიშნავი მიღწევები და ახალახალი გამარჯვებები მოაქვს ჩვენი უძლეველი და ბედნიერი ქვეყნის მშენებლობის ყოველ დარგში. ჩვენ ერთსულოვნად ვუერთდებით კრასნიპროლეტარელთა მოწოდებას. სარემონტო საამქრო იღებს ვალდებულებას ამხ. დ. მურვანიძე, — რომ მეოთხე კვარტალში მოვამზადებთ 50 ქალს, რომლებიც შესცვლიან მამაკაცებს. კიდევ უფრო ფართოდ გავშლით სტახანოვურ მოძრაობას ფაბრიკაში, გავზრდით შრომის ნაყოფიერებას, შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას 14 პროცენტით; მივაღწევთ სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიას მეოთხე კვარტალში.

სიტყვა წარმოსთქვეს და ახალი კონკრეტული ვალდებულებები აიღეს აგრეთვე სტახანოველებმა გ. ჩეკურაშვილმა და გ. ხეჩოიანმა.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: — ჩვენ, ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშები, სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკოსები პირნათლად შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს და ახალი საწარმოო გამარჯვებებით ღირსეულად შევხვდებით ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს.

ი. ბარამია



თბილისის მაუდის ფაბრიკის სტახანოველებმა (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. საფრონოვამ, ა. კაციაშვილმა, ე. გენიძემ და ა. პოდკოვიროვამ ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკთა წერილის საპასუხოდ აიღეს ვალდებულება პროდუქცია გამოუშვან უწუნოდ და წლიური ნორმა შეასრულონ 12 დეკემბრისათვის. ფოტო ბუდიშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირში

ბელორუსიის პაეპილიონი ინახულებს 875 ექსკურსიამ

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე საყოველთაო ყურადღებით სარგებლობენ ბელორუსიისა და უკრაინის პავილიონები. მათ ყოველდღიურად ნახულობს 60-70 ათასი კაცი. ორი თვის განმავლობაში ბელორუსიის პავილიონი ინახულა 875 ექსკურსიამ. ბელორუსიის წარჩინებულმა ადამიანებმა — გამოფენის მონაწილეებმა მეჯინიბე ბატოკინმა, მესელეებმა სარანჩუკმა და სიმონოვმა თავიანთ სტენდებთან ჩაატარეს საუბრები ექსკურსანტებთან, პროფ. ვეისმა, დოცენტმა ზახაროვმა, აგრონომმა დისკინმა წაიკითხეს ლექციები აგროტექნიკის, მეურნეობის ორგანიზაციის საკითხებზე. ბელორუსიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარსადგენად უკვე დაამტკიცა 28 კოლმეურნეობა ფართო ჩვენებისათვის.

ღნეპრჰესის შვიდი წლისთავი

ზაპოროჟიე, 9 ოქტომბერი (საკდესი). ხვალ შვიდი წელი სრულდება ღნეპრის ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების დღიდან.

წელს, როგორც ვიცით, ამუშავდა უკანასკნელი—მეცხრე—ტურბინი, და გოგანტურმა ელექტროსადგურმა მთელი სიმძლავრით იწყო მუშაობა. 1939 წელს ღნეპრჰესმა უნდა მოგვცეს 2.350 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ეს იმაზე მეტია, რასაც მეფისდროინდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური იძლეოდა.

ღნეპრჰესი მსოფლიოში ყველაზე იაფი ელექტროენერგიით ამარაგებს ზაპოროჟიესა და ღნეპროპეტროვსკის ოლქის სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებს. ღნეპროჰესის ბაზაზე შექმნილია სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტები—„ზაპოროჟსტალი“, ალუმინის, მაგნიუმისა და სხვა ქარხნები.

ეკიბრებიან რა რაიონის სტალინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივს, ღნეპრჰესელებმა ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა 80 პროცენტით შეასრულეს 9 თვის განმავლობაში. სადღეღამისო დავალებას ამჟამად ისინი სისტემატურად ასრულებენ.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია სახალხო კომისრის ამხ. **ნ. მ. ანცელოვიჩის** თავმჯდომარეობით. კოლეგიაში შედიან: ამხანაგები **ნ. ნ. ჩებოტარევი** (სახალხო კომისრის პირველი მოადგილე), **ფ. ვ. სერგეევი** (სახალხო კომისრის მოადგილე), **ტ. ფ. ტრუდოვი** (სახალხო კომისრის მოადგილე), **ლ. პ. გრაჩევი** (სახალხო კომისრის მოადგილე), **ფ. კ. კოზმინი** (სახალხო კომისრის მოადგილე), **ე. ი. ლოპუხოვი** (სახალხო კომისრის მოადგილე), **ა. ი. ბოვინი** (სახალხო კომისრის მოადგილე), **მ. ი. სალტიკოვი, ნ. ი. პოპოვი** და **გ. ე. კოფტოვი.** (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირ-ესტონეთის სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაცია ესტონეთის მიერ

ტალინი, 8 ოქტომბერი (საკდესი). 7 ოქტომბერს ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოაწდინა საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის მოსკოვში ა. წ. 28 სექტემბერს ხელმოწერილი სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაცია.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 9 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას:

„დასავლეთში მოწინააღმდეგე ადგილობრივი მნიშვნელობის დამზვერავ საქმიანობას ეწევა; ორივე მხარე სუსტ საარტილერიო სროლას აწარმოებს. აღნიშნულია ავიაციის უმნიშვნელო დამზვერავი გაფრენები“.

„ექსელსიორი“ ინგლისის ჯარის საფრანგეთში გადაყვანის შესახებ

პარიზი, 9 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის გაზეთი „ექსელსიორი“ იუწყება, რომ ინგლისის საექსპედიციო ძალების გადაყვანა საფრანგეთში დღე და ღამე სწარმოებს. ინგლისის სამხედრო მინისტრ ჰორ-ბელიშას მიერ გაზეთ „პარი სუარის“ ლონდონელი კორესპონდენტისათვის გაკეთებული განცხადების თანახმად, „ერთი წლის შემდეგ ფრონტზე იმდენივე ინგლისელი იქნება, რამდენიც ფრანგი“.

პოლონეთის წყალქვეშა ნავი ინგლისის ნავსადგურში ჩავიდა

ბერლინი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ტრანსოკეანის სააგენტოს სტოკჰოლმელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ცნობებით, პოლონეთის წყალქვეშა ნავი „ორიოლი“, რომელიც ტალინიდან გაიქცა, გუშინ დილით ინგლისის ნავსადგურში ჩავიდა. შვეციის საღამოს გაზეთი „აფტონბლადეტი“, ათავსებს რა ამ ცნობას, აყენებს კითხვას: როგორ შეეძლო პოლონეთის წყალქვეშა ნავს მშვიდობით გაეარა ინგლისის ნაღმიანი ადგილებიო?

პოლონელი ფყვევები გერმანიაში

ბრიუსელი, 8 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „სუარი“ იმოწმებს გერმანიის პრესას და იუწყება, რომ კელნში უკვე ჩადიან პირველი მატარებლები პოლონელი ტყვეებით, რომელთაც მოათავსებენ კელნის რაიონის ბანაკებში ქალაქ დიურენისა და შლაიდენის მახლობლად.

დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში

№ ნაწილის საბრძოლო გზა

გროდნო, 8 ოქტომბერი (საკდესის სპეცკორი). № ნაწილმა, რომელსაც ამბ. როზანოვი მეთაურობს, ბრძანება მიიღო გაენადგურებინა დაბასკიდელში პოლონეთის ჯანდარმერიის დამსჯელი რაზმი — ქვეითი ჯარის ერთი ბატალიონი და ცხენოსანი ესკადრონი. ეს დამსჯელი რაზმი გროდნოდან გაგზავნილი იყო სკიდელში, რომ გასწორებოდნენ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც ჯერ კიდევ წითელი არმიის ნაწილების მოსვლამდე აჯანყდნენ პოლონეთის მჩაგვრელების წინააღმდეგ. დამსჯელებმა სკიდელში მრავალი მუშა დახვრიტეს, სწვავდნენ სახლებს, ჰკლავდნენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს.

როდესაც ამბ. როზანოვის ნაწილი სკიდელს მიუახლოვდა, მას წინ შემოეგება ხალხი, რომელსაც სახელოზე წითელი ნიშნები ჰქონდა. ესენი იყვნენ მუშები და გლეხები შებრძოლი რაზმის შემადგენლობიდან. სულ 32 კაცი იყო.

მუშათა რაზმის მეთაური ივანე ვასილის-ძე შმოილო დახმარებას უწევდა წითელი არმიის მეომრებს, გზას უჩვენებდა მათ. სოფელ ხვატის გლეხი ნიკანორ სემაშკო მეუღლითდა ნაწილს თავის ექვსი წლის ბავშვთან ერთად. ბავშვი მან სამეთაურო პუნქტზე დასტოვა, ხოლო თვითონ ჯარის ნაწილთან ერთად მონაწილეობა მიიღო შეტევაში სკიდელის წინააღმდეგ. სოფელ ბუბნის გლეხი ნიკოლოზ მიშკო, მიუხედავად მტრის მიერ სროლის ატეხისა, ტანზე იკდა, სატანკო ნაწილს მიჰყვებოდა და გზას უჩვენებდა მას. როდესაც სატანკო ნაწილმა მარჯვენა ფლანგიდან გზა მოუჭრა მტრის ცხენოსან რაზმს და გაანადგურა იგი, რაზმმა ხელთ იგდო 26 ცხენი. ეს ცხენები პარტიზან გლეხებს გადასცეს. პარტიზანები ამბ. შმოილოს მეთაურობით გზას განაგრძობდნენ საბჭოთა ნაწილთან ერთად. მათ ხიდების დაცვა მოაწყეს.

სკიდელში პოლონელმა ვაი-მებრძოლებმა 40 გლეხი დაატყვევეს და მათ დახვრეტას აპირობდნენ. მაგრამ ჩვენმა ტანკებმა დროზე მიუსწრო და შეშინებული დარაჯები გაიფანტნენ. წითელარმიელებმა გლეხები გაანთავისუფლეს. თვალცრემლიანი ხალხი მადლობას უძღვნიდა მებრძოლთ თავის განთავისუფლებისათვის. ჯანდარმთა რაზმი სკიდელში განადგურებულ იქნა.

21 სექტემბერს ჯარის ნაწილმა მიიღო დავალება, რათა გროდნოსაკენ დასახევი გზა გადაეჭრა მტრისათვის. 9 საათზე ჩვენი მოწინავე რაზმები შეებნენ მტრის მეწინავე ნაწილებს და გაანადგურეს ისინი.

13 საათსა და 20 წუთზე ჩვენი ჯარის ნაწილი გროდნოში შევიდა და ბრძოლა გაიჩაღა ქუჩებში.

მოსახლეობა ზეიმით შეხვდა წითელი არმიის ნაწილებს. ქალაქის მშრომელები სიხარულით მიესალმნენ თავის განმათავისუფლებელთ, გროდნოს საფანერო ქარხნის მუშამ ნიკანორ მაქსიმეს-ძე ბოგუსლავმა თავს იდვა გაჰყოლოდა ტანკებს ქალაქში და ეჩვენებინა მათთვის ის ადგილები, სადაც ჩასაფრებული იყვნენ პოლონელი ოფიცრები. ერთერთი ტანკის ეკიპაჟი ბრძოლაში დასჭრეს. ამბ. ბოგუსლავმა, მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი საფრთხე მოელოდა, დაჭრილები თავის ბინაში გადაიყვანა, მოაწყო მათთვის დახმარება და სხვა მუშებთან ერთად იცავდა მათ.

საბჭოთა გემები დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მდინარეებში

სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ტურკვიდან პინსკისაკენ გავიდა დნეპრ-დვინის სანაოსნოს პირველი სამგზავრო გემი „ულიანოვი“. ამ რეისით იწყება საბჭოთა გემების ნავიგაცია დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მდინარეებში. საბჭოთა სატვირთო და სამგზავრო გემების რეგულარული რეისები პინსკამდე დაიწყება რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც შესწავლილი იქნება საბჭოთა წყალსნებისათვის უცნობ მდინარეებში ნაოსნობის პირობები.

(საკდესი).

ღუკკის მაზრის სოფლების ველეფონიზაცია

ლუცკი (დასავლეთი უკრაინა), 5 ოქტომბერი (საკდესი). დასავლეთ უკრაინის სოფლებში ტელეფონი მეტად იშვიათი მოვლენა იყო. ტელეფონი შეიძლებოდა გენახათ მხოლოდ ცალკეულ მემამულეებთან და ქსენძებთან. გლეხებისათვის ტელეფონი მიუწვდომელი იყო. ახლა ლუცკის დროებითი საქალაქო მმართველობის კავშირგაბმულობის განყოფილება დიდ მუშაობას ეწევა მაზრის სოფლების ტელეფონიზაციისათვის.

ამ დღეებში ლუცკის მაზრის გლეხთა კომიტეტების რწმუნებულთა თათბირმა განიხილა ეს საკითხი და გადასწყვიტა ფართოდ მოაწყოს სკოლების, დაწესებულებებისა და სოფლის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ტელეფონიზაცია.

ამ დღეებში მოგვარებული იქნება აგრეთვე, ფოსტისა და ჟურნალ-გაზეთების მიტანა სოფლად, სადაც ამ უკანასკნელ დღეებში მეტად იშატა პერიოდულ გამოცემებზე ხელის მოწერამ.

პირველი მოთხოვნილების საქონელი დასავლეთ ბელორუსიისათვის

მინსკი, 8 ოქტომბერი (საკდესი). პანების ულმობისაგან განთავისუფლებული ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა თხოვნით დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიაზე შემოაქვთ დიდძალი პირველი მოთხოვნილების საქონელი.

ყოველდღე იგზავნება ნავთით საველე ცისტერნები, მარილით, ასანთით, წეკოთი და სხვა საქონლით დატვირთული ვაგონები.

დღეს ვილნოში დაიწყო მიღებული საბჭოთა საქონლის გადმოტვირთვა.

11 ქალაქში — ვილნოში, პინსკში, ბელოსტოკში, ბრესტ-ლიტოვსკში, ვოლკოვისკში, გროდნოში, ნოვოგრუდოკში, ლიდაში, ლუნინეცში, ბარანოვიჩსა და მოლოდეჩნოში იქმნება საბითუმო სავაჭრო ბაზები.

გარდა ამისა, „ბელკოოპსოიუზი“ დასავლეთ ბელორუსიის სამაზრო ცენტრებში ხსნის 30 საბითუმო საწყობს. საბითუმო ბაზები კოოპერატიულ და კერძო მაღაზიებს მიაწვდიან პირველი მოთხოვნილების საქონელს. მზადდება სადგომები ამ ბაზებისა და საწყობებისათვის.

ვილნოში გაიხსნება უდიდესი უნივერსალური მაღაზია, რომელიც მისმა ყოფილმა პატრონებმა ბედისანაბარა მიატოვეს. უკვე დამთავრდა დარჩენილი საქონლის აღრიცხვა. ამ დღეებში ეს სავაჭრო საწარმო გაიხსნება მყიდველთათვის.

დასავლეთ ბელორუსიაში შეტანილი საბჭოთა საქონლის რეალიზაციის პირველმა დღეებმა დიდი აღფრთოვანების ვითარებაში ჩაიარა. ქალაქ მოლოდეჩნოში პირველ დღეს დაახლოებით 500 ფუთი მარილი გაიყიდა.

ქალაქების, დაბებისა და სოფლების მშრომელები გულწრფელ მადლობას უძღვნიან საბჭოთა მთავრობას ძმური დახმარებისათვის.

ДУЦКІСКІЯ МАЗЫРСКІЯ СОВЕТЫ ВЕЛЕФОНІЗАЦЫІ

ЛУЦКІ (заходняя Украіна), 5 кастрычніка (Савецкая). Заходняя Украіна ў вёсках вельмі рэдка мае тэлефонную сувязь. Тэлефоны былі толькі ў некаторых памешчыкаў і ксяндзоў. Цяпер Луцкае часовае гарадское камунальнае аддзяленне пачынае тэлефанізацыю вёсак.

На нядаўнім нарадзе старшынь сельскіх камітэтаў Луцкага павета было вырашана ў бліжэйшы час тэлефанізаваць школы, сельсаветы і іншыя грамадскія арганізацыі вёсак.

Таксама будуць арганізаваны і пошта-вая дастаўка газет і часопісаў.

ПЕРШЫЯ ПАТРЭБЫ ЗАХОДНЯЙ БЕЛАРУСІ ЗАДАВОЛЬНЕНЫ

МІНСК, 8 кастрычніка (Савецкая). Жыхары гарадоў і вёсак Заходняй Беларусі атрымліваюць неабходныя прадметы першай патрэбы. Па ўсіх раёнах Заходняй Беларусі ідуць эшалоны з нафтай, солью, запалкамі, цукрам, мукой, крупамі, тканінамі, абуткам, мылам, керасінам, запасамі соды, солі, запалак, цукру, мукі, крупаў, тканін, абутку, мыла, керасіну.

Вялікая колькасць таварных вагонаў з прадуктамі і прадметамі першай патрэбы прыбыла ў Баранавічы, Слонім, Пінск, Ваўкавыск, Беласток, Брэст-Літоўск, Кобрын, Ганцавічы, Івацэвічы, Ляхавічы, Столін, Камень-Кашырскі, Ковель, Маларыту, Сарны, Ровна, Дубно, Луцк, Кремянец, Рожышча, Ківерцы, Любамль, Сокаль, Рава-Рускую, Яворава, Жаўкву, Львоў, Перамышль, Самбор, Дрогабыч, Стрый, Станіслаў, Калуш, Тлумач, Косаў, Снятын, Вашкоўцы, Чэрнавіцы, Кіцмань, Заставну, Новасяліцу, Сучаву, Радаўцы, Ліпканы, Ізмаіл, Кагул, Рэні, Бендэры, Акерман, Аляксандраўку, Кішынёў, Бэльцы, Атаку, Фалешты, Унгены, Бэлаву, Окніцу, Рыбніцу, Слабодзею, Тыраспаль, Бірзулу, Балту, Ананьеў, Адэсу, Ізмаіл, Кілію, Вілкова, Рэні, Бендэры, Акерман, Аляксандраўку, Кішынёў, Бэльцы, Атаку, Фалешты, Унгены, Бэлаву, Окніцу, Рыбніцу, Слабодзею, Тыраспаль, Бірзулу, Балту, Ананьеў, Адэсу, Ізмаіл, Кілію, Вілкова.

Дасавецкія беларусы. Жыхары вёскі Ліпнішкі Ашмянскага раёна, Вільенскай вобласці, сустракаюць Чырвоную Армію. Фота А. Шарэнкі і Д. Чарнова (Савецкая фотахроніка).

ЗАВІ ТУ ЛЬВІ?

Ужо цяпер можна сказаць, што вайна ў Польшчы дала магчымасць Германіі ўзмацніць свае пазіцыі ў Еўропе. Германія ўзяла пад свой кантроль Польшчу, Данію, Галандыю, Бельгію, Люксембург, Румынію, Венгрыю, Балгарыю, Грэцыю, Югаславію, Албанію, Турцыю, Іспанію, Партугалію, Швецыю, Фінляндыю, Эстонію, Латвію, Літву, Славакію, Швейцарыю, Італію, Англію, Францыю, Бельгію, Галандыю, Дан

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭომ

პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ გამოიტანა დადგენილება ელექტრომანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშათა კავშირში კავშირის წევრებად მიღებისა და პროფკავშირული მეურნეობის მოგომარეობის შესახებ.

ელექტრომანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველო კომიტეტებს არ შეუსრულებიათ პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმის გადაწყვეტილებანი კავშირის წევრებად მიზიდვის ორგანიზაციულ - მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ამის შედეგად ელექტრომანქანათმშენებლობის საწარმოთა 12 ათასი მუშა და მოსამსახურე დღემდეც არ არიცხება კავშირის წევრად.

ბევრი პროფკავგუფორგი თავის დროზე არ ჰკრეფს საწევრო შენატანს, ხოლო მთელ რიგ საწარმოებში, მიუხედავად პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებისა, თავიდან მოიშორეს ეს სამუშაო და იგი განსაკუთრებულ „ამკრეფებს“ მიანდვეს.

ქიროვის სახელობის ქარხანა „დინამოში“, ქარხანა „ელექტრიკში“ და სხვა ქარხნებში ცუდად არის ორგანიზებული კავშირის წევრებად მიღება. აქ რამდენიმე თვეობით ჭიანურდება საწევრო ბილეთების გაცემა. ზოგიერთი საქარხნო კომიტეტის პროფკავშირული მეურნეობა ქაოტურ მდგომარეობაშია: უწესრიგოდ ინახება საწევრო ბილეთების ბლანკები და საარიცხვო ბარათები, თავის დროზე არ ხდება სამსახურიდან დათხოვნილთა აღრიცხვიდან მოხსნა და აღრიცხვაზე არ არიან აყვანილი ქარხანაში სამუშაოდ მიღებულნი.

ელექტრომანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა მუშათა და მოსამსახურეთა კავშირში მიზიდვის ხაზით, აგრეთვე პროფკავშირული მეურნეობის მდგომარეობა ცნობილია სრულიად არადამაკმაყოფილებლად. პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა მისცა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს გადაჭრით გააუმჯობესოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, მიაღწიოს მუშათა და მოსამსახურეთა ასი პროცენტით ჩაბმას პროფკავშირში და ბოლო მოუღოს საქმის გაჭიანურებას პროფკავშირში მიღების დროს.

ყველა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმები და ფაბქარხადგილკომების პრეზიდიუმები მოვალენი არიან, ერთი თვის განმავლობაში მოაწესრიგონ პროფკავშირის წევრთა აღრიცხვა. ფაბქარხადგილკომების წევრთა რიცხვიდან უნდა გამოიყოს ცალკე პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან პროფკავშირის წევრთა აღრიცხვისა და საარიცხვო ბარათებისა და საწევრო ბილეთების ბლანკების შენახვისათვის. იმ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც კავშირის წევრთა რიცხვი 3.000 კაცს არ აღემატება, საარიცხვო ბარათები უნდა ინახებოდეს ფაბქარხადგილკომებში, ხოლო სადაც წევრთა რიცხვი 3.000 კაცზე მეტია—საამქრო კომიტეტებში. ფაბქარხადგილკომებსა და საამქრო კომიტეტებში უნდა იყოს სპეციალური ყუთები საარიცხვო ბარათების შესანახად.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ყველა პროფკავგუფორგს 2 დღის განმავლობაში აიყვანონ აღრიცხვაზე საწესრიგოდ ახლად მიღებული ყველა წევრი პროფკავშირისა.

○

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სპორტის თვდაცვითი სახეების — ფარიკაობისა და განსაკუთრებით ბოქსით ბრძოლის და „დაბრკოლების ზოლის“ გადალახვის განვითარების შესახებ. ფიზკულტურულ კოლექტიურ საწარმოებში იქმნება ხელოვნური ბრძოლისა და ფარიკაობის სექციები. 1940 წლის ზაფხულის სეზონის დამდეგისათვის ყველა სტადიონსა და სასპორტო მოედანზე მოეწყობა „დაბრკოლების ზოლები“.

პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებასთან ერთობა ამ სახის სპორტის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კოლექტივებში სასწავლო მუშაობის ჩასატარებლად ფართოდ იქნან მიზიდული მუშურ-გლეხური წითელი არმიის თადარიგის მეთაურები.

მომავალ წელს განზრახულია ჩატარდეს მთელი რიგი შეჯიბრებანი ხელჩართულ ბრძოლაში.

(საკდესი).

პარტიული ცხოვრება

რაჭვმ ჩაჭარდა ლექცია უხალისოდ?

სალექციო დარბაზის წინა ოთახში მხოლოდ რეგისტრაცია მიმდინარეობს. არ იგრძნობა, რომ დღეს აქ ლექცია უნდა ჩატარდეს. არც საგაზეთო მასალები, არც ილუსტრაცია, არც ისტორიული დოკუმენტები! მხოლოდ ერთეულებმა იციან, რომ დღეს ლექციას ჩაატარებს ამხ. ნიკიტენკო თემაზე — „ბოლშევიკების პარტია უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში“. უმრავლესობას თემაზე წარმოდგენა არა აქვს. როგორც სჩანს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში არ უფიქრიათ იმაზე, რომ ლექციის შინაარსი გაეცნოთ ამხანაგებისათვის. აუდიტორიას სტუმართმოყვარეობით არც თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის პარტიული კაბინეტი შეხვედრია. დღეს აქ მორიგი კონსულტანტიც არ გამოცხადებულა. სარეგისტრაციო მაგიდას მიუახლოვდა პარტიის წევრი ამხ. მიკირტიჩიანი და ჰკითხა, ვინ ჩაატარებდა ლექციას. მაგიდასთან მყოფმა ამხანაგებმა უპასუხეს, რომ ლექციას ჩაატარებდა ამხ. ნიკიტენკო. ამხანაგი მიკირტიჩიანი ისევ დაბრუნდა ოთახში და ლექტორს დაელოდა. ცოტა ხნის შემდეგ ლექტორმა დაიწყო ლექცია. ცუდად როდი ლაპარაკობდა იგი, საილუსტრაციოდ მშვენიერი ფაქტები მოიყვანა, ლექციაც კარგად ჰქონდა გააზრებული, მაგრამ აუდიტორია მაინც ვერ „დაიპყრო“. ან როგორ შეიძლებოდა ასეთი ჭრელი აუდიტორიის დაუფლება. როგორ შეეძლო ლექტორს აღეძრა ინტერესი ისეთ ამხანაგებში, რომლებიც „რაზვლისტკით“ გამოგზავნეს ცალკეულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა?

არცერთი შეკითხვა—ასეთი იყო ლექციის სამწუხარო ფინალი...

უსათუოდ კარგია, რომ თბილისის სტალინის რაიონის პარტიულმა კაბინეტმა ხელი მოჰკიდა ლექციების ჩატარებას ოქტომბრის შემდგომი პერიოდის თემებზე, მაგრამ საჭიროა მისი წინასწარ გულმოდგინედ მომზადება ყოველმხრივ.

ვ. დიდიძე

გულდასმით შევისწავლოთ ბოლშევიზმის ისტორია

გუშინ, 9 ოქტომბერს, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში ჩატარდა ქ. თბილისის ლენინის რაიონის ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება იმ საკითხზე, თუ როგორ სწავლობს რაიონული აქტივი დამოუკიდებლად „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ურთიერთს გაუზიარეს მარქსისტულ - ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდები ამხ. ბახტაძემ (26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანი), ბასილაძემ (მეორე სამილიციო განყოფილების უფროსი), კვინიკაძემ (ა-კ რკინიგზის მოძრაობის დარგის მესამე განყოფილების უფროსი), ჩეჩელაშვილმა (მე-30 საშუალო სკოლის დირექტორი), ალაჯანოვმა (ა-კ რკინიგზის სამმართველოს ინჟინერი) და სხვ.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ჩუბინიძე. ამხ. ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ სწავლობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ და ამიტომ ჩამორჩება იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში. მაგალითად, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარეს ამხ. კაზაზიშვილს ჯერ არც კი დაუწყია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. ის აცხადებს, — მე ახალგაზრდა ვარ, ასეთ დიდ საქმეს ვეხელმძღვანელობ, პირველ რიგში შევუდექი პროფკავშირული დირექტივებისა და შრომის კანონთა კოდექსების შესწავლას და ამიტომ პარტიის ისტორიის შესასწავლად დრო აღარ დამრჩაო. პარტიის ისტორიას არ სწავლობს აგრეთვე ამავე ქარხნის ამწყობი სამმჭრის უფროსი ამხ. ზლახი. მე-30 საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ჩეჩელაშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე ამხ. სიხარულიძე დღემდე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მესამე თავს არ გასცილებიან. სრულებით არ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ა-კ რკინიგზის სამმართველოს ადმინისტრატიული განყოფილების გამგე ამხ. ე. ნოდია, რომელიც არც ლექციებსა და კონსულტაციებს ესწრება.

კრებაზე აღნიშნულ ნაკლოვანებათა საფუძველზე პარტიის რაიკომის ბიურო შეიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს ხელმძღვანელი აქტივის მიერ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლის გაუმჯობესებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1. ალექსი მათეს-ძე **ჭეშკაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2851270, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული საკოლმეურნეო ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის.

2. ნიკოლოზ იაკობის-ძე **შანშიაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან (სიღნაღის პარტორგანიზაციიდან), სიყალბის ჩადენისა და საბელმწიფო სახსრების მითვისებისათვის.

3. ვლადიმერ იროდის-ძე **ფირანაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1667594, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ცილისწამებისათვის.

4. დიმიტრი იოსების-ძე **კობეშავიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2164106, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული მკვლელობისათვის.

5. ვასილ გიორგის-ძე **დმიტრიენკო** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1264097, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ავარიისათვის.

6. პეტრე ივანეს-ძე **კილასონია** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2848036, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული მატარებლის მარცხისათვის.

7. გიორგი იოსების-ძე **ნერგაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0928375, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის.

8. ივანე ტრიფონის-ძე **დუბინინი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1678627, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული საკოლმეურნეო მიწების განიავებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინაკომის პარტკაბინეტის გამგე ა. ნიკურაძე კონსულტაციას აძლევს სქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში ამხ. ჰ. გელაშვილსა და ტ. კვალიაშვილს. ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

ჩაჭის პრესის გამოხმაურება

რიგა, 8 ოქტომბერი (საკდესი). ინტერესი საბჭოთა კავშირ-ლატვიის პაქტისადმი ლატვიაში სულ უფროდაუფრო იზრდება.

ეზება რა სსრ კავშირსა და ლატვიას შორის დადებულ ურთიერთდახმარების პაქტს, გაზეთი „რიტსი“ სწერს: „ლატვიასა და სსრ კავშირს შორის ჯერ კიდევ 1920 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების დღიდან არსებობდა და არსებობს მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა, რამაც 1932 წელს ძვირფასი დადასტურება ჰპოვა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაში, რომელიც გამორიცხავდა სსრ კავშირს და ლატვიას შორის შეიარაღებული კონფლიქტის ყოველგვარ შესაძლებლობას. ამ ორმა ხელშეკრულებამ შეჰქმნა მტკიცე საფუძველი, რომელზედაც ამჟამად დამყარებულია ურთიერთდახმარების პაქტი“.

„ამ პაქტის დადება, — განაგრძობს გაზეთი, — შეთანხმებულია ჩვენს მისწრაფებებთან დაცულ იქნას მშვიდობიანობა. სწორედ მითომ, რომ ლატვიის სახელმწიფო და ხალხი მშვიდობიანობის დაცვაზე ზრუნავდა, არ იღებდა მონაწილეობას ზოგიერთი დიდი სახელმწიფოების კოალიციებში. ლატვიელმა ხალხმა, რომელმაც მსოფლიო ომის სისხლიანი ჭარიხალი გადაიტანა, იცის, თუ რას ნიშნავს მშვიდობიანობა, და მას უნარი აქვს დაიფაროს ეს მშვიდობიანობა. თუ ახლა ჩვენმა დიდმა მეზობელმა თავდაცვისა და ბალტიის ზღვის დაცვის უზრუნველსაყოფად ხელი მოჰკიდა აგრეთვე ჩვენთვის მხარის დაჭერასა და დახმარების გაწევას სანაპიროების დაცვის საქმეში, ეს ჩვენ იმის რწმენას გვაძლევს, რომ ბალტიის ზღვაში შექმნილია ორგანიზმი, რომელიც სამსახურს გაუწევს მშვიდობიანობისა და უშიშროების საქმეს“.

იხილავს რა ხელშეკრულების პირობებს, გაზეთი სწერს: „ურთიერთდახმარების პაქტის შესასრულებლად, ისევე, როგორც ეს ესტონეთმა ჩაიღინა, ჩვენ ჩვენი სანაპიროების ზოგიერთ პუნქტს ვაძლევთ საბჭოთა კავშირის მის განკარგულებაში, რათა მოაწყოს იქ დასაყრდენი ბაზები ავიაციასა და ფლოტისათვის. ხელშეკრულების მეხუთე მუხლი ამბობს, რომ საბჭოთა ჯარისა და ფლოტის განკარგულებაში გადაცემული ტერიტორია ლატვიის სუვერენიტეტის ქვეშ რჩება. ჩვენს წყლებში ბაზების მოწყობას საბჭოთა კავშირი უყურებს, როგორც თავისი უშიშროებისა და მთელი ბალტიის სივრცის უშიშროების აუცილებელ პირობას. საბჭოთა კავშირმა ვალდებულება იკისრა პატივი სცეს ლატვიის სუვერენულ უფლებებს, ისევე როგორც პატივს სცემდა მათ წინათ. მრავალი წლის მეზობლობის გამოცდილება ნებას გვაძლევს ჩვენ განვაცხადოთ, რომ ჩვენი დიდი მეზობლის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი იკისრა პატივი სცეს ლატვიის სუვერენულ უფლებებს, ისევე როგორც პატივს სცემდა მათ წინათ. მრავალი წლის მეზობლობის გამოცდილება ნებას გვაძლევს ჩვენ განვაცხადოთ, რომ ჩვენი დიდი მეზობლის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი ასრულდება ზედმიწევნით ზუსტად. ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ორი კვირა გავიდა, მაგრამ ჩვენ ჯერ არაფერი გვსმენია საბჭოთა ჯარების მის განკარგულებაში, რათა მოაწყოს იქ დასაყრდენი ბაზები ავიაციასა და ფლოტისათვის. ხელშეკრულების მეხუთე მუხლი ამბობს, რომ საბჭოთა ჯარისა და ფლოტის განკარგულებაში გადაცემული ტერიტორია ლატვიის სუვერენიტეტის ქვეშ რჩება. ჩვენს წყლებში ბაზების მოწყობას საბჭოთა კავშირი უყურებს, როგორც თავისი უშიშროებისა და მთელი ბალტიის სივრცის უშიშროების აუცილებელ პირობას. საბჭოთა კავშირმა ვალდებულება

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՈՐՈՇՈՒՄԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԱԽԱԳԱՀԻ ԸՆՏՐՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի նախագահի ընտրության մասին Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Սահմանադրության 49-րդ հոդվածի համաձայն՝

Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհուրդը որոշում է.

1. Նշանակել Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի նախագահի ընտրությունը 1939 թվականի հունիսի 18-ին։

2. Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի նախագահի ընտրությունը կատարել ընդհանուր, հավասար, ուղղակի և գաղտնի քվեարկությամբ։

3. Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի նախագահի ընտրությունը կատարել Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Սահմանադրությամբ սահմանված կարգով։

Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի նախագահ Ա. ՍՏԵՓԱՆՅԱՆ

Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի քարտուղար Ա. ՀԱՐՈՒԹՅՈՒՆՅԱՆ

Երևան, 1939 թ. մայիսի 10։

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԱԽԱԳԱՀԻ ԸՆՏՐՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Սահմանադրության 49-րդ հոդվածի համաձայն՝

Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհուրդը որոշում է.

1. Նշանակել Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի նախագահի ընտրությունը 1939 թվականի հունիսի 18-ին։

2. Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի նախագահի ընտրությունը կատարել ընդհանուր, հավասար, ուղղակի և գաղտնի քվեարկությամբ։

3. Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի նախագահի ընտրությունը կատարել Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Սահմանադրությամբ սահմանված կարգով։

Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի նախագահ Ա. ՍՏԵՓԱՆՅԱՆ

Հայկական Սովետական Սոցիալիստական Հանրապետության Հանրապետական Խորհրդի քարտուղար Ա. ՀԱՐՈՒԹՅՈՒՆՅԱՆ

Երևան, 1939 թ. մայիսի 10։

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՈՐՈՇՈՒՄԸ